

MAC GEORGIA

# ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, სათვალეებით უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი

## სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: **1505**

# ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?



ყავარჯნის, ხელჯოხ-ყავარჯნის ან გადასაადგილებელი ჩარჩოს საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები და ხანდაზმულები (ქალები – 60 წლიდან, მამაკაცები – 65 წლიდან)



უსინათლოთა ხელჯოხის საჭიროების მქონე მხვედველობადაქვეითებული შშმ პირები და ბავშვები



სათვალის საჭირეობის მქონე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მხედველობადაქვეითებული შშმ პირები და ბავშვები, ასევე სათვალეების ტიპიური მომხმარებლები, რომელთაც აღენიშნებათ მხედველობის დარღვევები ან რეფრაქციის ნებისმიერი ანომალია, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა და კორექციისა.

# პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**
- პროგრამის მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (18 წლამდე ასაკის პირის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი);
- პროგრამის მოსარგებლის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი, ხოლო მინდობით აღზრდის შემთხვევაში - მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (საპენსიო მოწმობა);
- პირზე გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული იქნება ამ კომპონენტით გათვალისწინებული დამხმარე საშუალების საჭიროება შესაბამისი სახეობის მითითებით. ფორმა №IV-100/ა-ის აღება რეკომენდებულია პროგრამაში ჩართვამდე **არაუადრეს 30 კალენდარული დღის.**

***შენიშვნა:*** *პროგრამაში ჩართვის შემდგომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოდან მიიღებთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებს გაეცნობით თანდართულ წერილში.*

# რეგისტრაციის დიაგრამა

**IV-100/ა**

**სამედიცინო ფორმა 100**-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

**IV-50/4**

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის ქონის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დარეკეთ ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 111

**IV-50/2**

**სამედიცინო ფორმა IV-50/2,** გასცემს ის სამედიცინო დაწესებულება, სადაც გაიცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მოწმობა. აღნიშნულ ფორმაში მითითებული იქნება დამხმარე საშუალების დასახელება.

**ვაუჩერი**

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.



# ხშირად დასმული კითხვები:

**1.ვინ არის პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
**ცხელი ხაზი: 0 800 900 902**

---

**2.რამდენ ხანში ერთხელ შემიძლია მოვითხოვო ქვეპროგრამით გათვალისწინებული დამხმარე საშუალება?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ხაზი: +(995 32) 2 39 53 11

---

**3. რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში ბავშვის სტატუსის მიღების მიზნით?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ხაზი: +(995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
**ცხელი ხაზი: 0 800 900 902**

---

**4.რამდენია საგარანტიო ვადა მიღებულ დამხმარე საშუალებაზე?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ხაზი: +(995 32) 2 39 53 11

---

**5.ვის მივმართო თუ მოხდა დამხმარე საშუალების დაზიანება?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ხაზი: +(995 32) 2 39 53 11

---

**6.ვის შეიძლება მივმართო თუ გვიანდება პროგრამით გათვალისწინებული ვაუჩერის მიღება?**

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ხაზი: +(995 32) 2 39 53 11
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81



**MAC** GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202